ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №090503/10/040

(კოდი 90513000)

ქ. თბილისი 20 მაისი 2011 წელი

ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა, გამგებლის თ. გრიგალაშვილის სახით, (შემდგომში წოდებული, როგორც "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „ავარიული" (შემდგომში წოდებული, როგორც "მიმწოდებელი"), დირექტორის შ. ავქოფაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია რაიონის ბიუჯეტის სახსრებით ვარკეთილი ზ/პლატო, მე-13 კორპუსის სადარბაზოს შესასვლელის ჩამონგრეული რ/ბ გადახურვის ფილის დაშლილი ელემენტებისა და არსებული ნაგვის გატანის სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

II. ხელშეკრულების ობიექტი

2.1. ხელშეკრულების ობიექტია ვარკეთილი ზ/პლატო, მე-13 კორპუსის სადარბაზოს შესასვლელის ჩამონგრეული რ/ბ გადახურვის ფილის დაშლილი ელემენტებისა და არსებული ნაგვის გატანა. ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

III. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში;
3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 281 (ორას ოთხმოცდაერთი) ლარს, დღგ-სა და სხვა თანმდევი ხარჯების ღირებულებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

IV. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 25 მაისის ჩათვლით;
4.2. მიწოდების ადგილი-ვარკეთილი ზ/პლატო, მე-13 კორპუსი.

V. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი პირების ხელმოწერით, ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.

VI. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის განმავლობაში;
6.2. ღირებულების ანაზღაურება როგორც წესი მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის იურიდიულ მისამართზე;
6.3. ანაზღაურების ადგილი ქ.თბილისი.

VII. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესრულებული სამუშაოების ხარისხის ინსპექტირება;
7.2. ინსპექტირებას განახორციელებს გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების თანამშრომლები;
7.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

VIII. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან 2011 წლის 31 მაისის ჩათვლით.

IX. სხვა პირობები

9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;
9.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
9.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
9.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ორი ეგზემპლარი-შემსყიდველთან, ერთი ეგზემპლარი-მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
9.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები და ბეჭედი

შემსყიდველი:

ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა

მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1
სს „ლიბერთი ბანკის“
ცენტრალური ფილიალი
ა/ა GE95LB 0125152101627000
კოდი LBRTGE22
საიდენტ. კოდი 208204959

გამგებელი

_____ თ. გრიგალაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ავარიული“

მის. ქ.თბილისი, გ. ლეონიძის ქუჩა №7
სს „საქართველოს ბანკი“
ცენტრალური ფილიალი
ა/ა 300 467 351
კოდი BAGAGE22
საიდენტ. კოდი 204 445 519

დირექტორი

_____ შ. ავქოფაშვილი

შემსყიდველი: ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა

მიმწოდებელი: შ.პ.ს. „ავარიული“

ხარჯთაღრიცხვა

მისამართი: ვარკეთილი, ზ/პ კორპ.13 III სადარბაზოს

ხანდაზმული და დაზიანებული რკინა-ბეტონის ფილის დაშლილი ელემენტების დატვირთვა ა/მ-ზე და გატანა

სამუშაო ღირებულების გათვლა (ლარებში)

№	სამუშაოს დასახელება	განზ.ერთ.	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
2	დაშლილი ელემენტებისა და არსებული ნაგვის დატვირთვა ა/მანქანაზე და გატანა	$მ^3$	2,20			50	110,00		80,00	190,00
	ჯამი:						**110**		**80**	**190**
	ზედნადები ხარჯები 14%:									26,6
	ჯამი:									**216,6**
	გეგმიური დაგროვება 10%:									21,7
	ჯამი:									**238,3**
	დ.ღ.გ. 18%:									**42,9**
	სულ:									**281**

შემსრულებელი: შ.პ.ს. „ავარიული“-ს დირექტორი: შ. ავქოფაშვილი